



ადმონსკვლეთის პარტნიორობის

სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის

საქართველოს ეროვნული კვლევითი ცენტრი



პირველი სამუშაო ჯგუფის შეხვედრა

ოქმი

თარიღი: 23 იანვარი, 2015 წელი

დრო: 11:00 – 13:00 საათი

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ირინა ფუტკარაძე - პირველი სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი საზოგადოებრივი დამცველი
2. ნათია კუპრაშვილი - საქართველოს რეგიონალურ მაუწყებელთა ასოციაცია
3. რაისა ლიპარტელიანი - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება
4. ეკა აღდგომელაშვილი - ქალთა ინიციატივების მხრადამჭერი ჯგუფი
5. ივანე ჩხიკვაძე - ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“
6. ნანა ქარსელაძე - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
7. ნინო ჩიხლაძე - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
8. გიორგი თევზაძე - ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაცია

განსახილველი საკითხები:

1. წესდების განხილვა
2. საერთო კრების საორგანიზაციო საკითხები
3. სხვა

სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი. მან სიტყვა გადასცა საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარეს, რომელმაც ჯგუფის წევრებს წარუდგინა წესდების ცვლილებების პროექტი.

პლატფორმის თავმჯდომარემ ისაუბრა წესდებაში შესატან ცვლილებებზე და ყურადღება გაამახვილა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორცაა: პლატფორმის განვითარების მიმართულებები, შიდა განვითარება, რეგიონალური განვითარება, მონაწილეობა ასოცირების ხელშეკრულებით განსაზღვრულ ფორმატებში (ქართულ - ევროპული პლატფორმა, სამოქალაქო საზოგადოების დიალოგის ფორუმი), ასევე სამუშაო ჯგუფების და ქვეჯგუფების ეფექტური მუშაობის საკითხი.

საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნების მიღწევის პროცესში მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა და აქტიური თანამშრომლობა. მან ჯგუფის წევრებს ასევე მიაწოდა ინფორმაცია, რომ მთავრობის მიერ დამტკიცდა ასოცირების ხელშეკრულების ეროვნული სამოქმედო გეგმა. მან მადლობა გადაუხადა პლატფორმის წევრ ორგანიზაციებს, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს აღნიშნული დოკუმენტის შემუშავების პროცესში და დროის მოკლე ვადებში შეძლეს თავიანთი რეკომენდაციების გამოგზავნა. აღსანიშნავია, რომ შენიშვნების ნაწილი გათვალისწინებულ იქნა მთავრობის მხრიდან.

ჯგუფის მიერ მოხდა მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის განხილვა, რომლის მიხედვითაც დასჯადი ხდება მოწოდება შუღლის გაღვივების მიზნით, ასევე, მოწოდება ძალადობრივი ქმედებისკენ რასობრივი, რელიგიური, ეროვნული, კუთხური, ეთნიკური, სოციალური, ენობრივი ან/და სხვა ნიშნების მქონე პირთა ჯგუფებს შორის მტრობის, ან განხეთქილების ჩამოგდების მიზნით. კოორდინატორის აზრით აღნიშნული კანონპროექტი შეიცავს საფრთხეებს მედიისა და გამოხატვის თავისუფლებისთვის. მან პლატფორმის წევრ ორგანიზაციებს მოუწოდა ამ მიმართულებით მეტი კოორდინაციისკენ.

შეხვედრის მდივანი: ნატალია აბრამია